

თქვენი 2018 წლის 22 იანვრის წერილზე

ბატონო პავლე,

საკ-ის პროფესიული საქმიანობის, საავტორო უფლებების და ეთიკის დაცვის კომისია უპირობოდ ეთანხმება თქვენი 22.01.2018 წლის წერილის პრეამბულას - განსაკუთრებით კი მეორე აბზაცის - პათოსს და მოტივირებულია ზედმიწევნით შეაფასოს საკ-ის 2017 წლის 23 დეკემბრის ჩატარებული კავშირის საერთო (საარჩევნო) კრების მსვლელობა, კრებაზე აღმოცენებული კოლიზიები და ახსნას მათი მიზეზები. საამისოდ კომისიას ხელთ აქვს თქვენს მიერ გამოგზავნილი „ქრონიკა“, ანუ თქვენი აღწერილობა საკ-ის კრების მსვლელობისა, რომელიც კომისიამ> თქვენი თხოვნით, ან უნდა „დაადასტუროს (ან უარყოს).

როგორც ირკვევა „ქრონიკა“ ცდილობს ასახოს საერთო კრების მსვლელობის პროცესი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, რათა წარმოაჩინოს მტკიცებათა უტყუარობა.

უპირველეს ყოვლისა უნდა მოგახსენოთ, რომ არ შეგვიძლია უპირობოთ დავეთანხმოთ „ქრონიკაში“ მოყვანილი ფაქტების სანდოობას და თანმიმდევრობას, რამე თუ ჩვენ და როგორც „ქრონიკიდან“ ჩანს - არც თქვენ არ ვატარებდით კრების მსვლელობის სტენოგრაფიულ ჩაწერას, ან სრულფასოვან ვიდეო ფიქსირებას. ამ შემთხვევაში მხოლოდ მეხსიერებაზე დაყრდნობა არამართებული იქნებოდა.

ამდენად, ჩვენი პასუხი სრულად დაეფუძნება კრების ოქმს და სხვა საჭირო დოკუმენტს, რომელიც ეხება საარჩევნო კრების ჩატარების კამპანიას.

განვიხილოთ „ქრონიკა“ პუნქტების მიხედვით

3.1 - სააქტო დარბაზის ფოიე. მიმდინარეობს მონაწილეთა რეგისტრაცია. რიგდება გამგეობის, ასევე სარევიზიო და პროფესიული ეთიკის კომისიების კანდიდატთა სია. კომისიები სრულადაა დაკომპლექტებული, თითოეულში 5 წევრი. საარჩევნო აღარავინაა. კენჭისყრა ფორმალადაა ქცეული.

3.1. - „.....“ არ ვეთანხმებით დასკვნას: საარჩევნო ბიულეტენებში მოცემულია იმ კანდიდატთა გვარები, რომლებსაც წინასწარ დააფიქსირეს არჩევნებში მონაწილეობის სურვილი (იხ. „საკ-ის 2017 წლის 23 დეკემბრის XXVII საერთო (საარჩევნო) კრების

რეგლამენტი“). ამავე დროს საარჩევნო კომისიამ ამომრჩეველს უდასტურებდა, რომ ბიულეტენში შესაძლებელი იყო გვარების ჩამატება - გამოვლენა, იმდაგვარად, რომ საბოლოოდ დარჩენილიყო მხოლოდ 5 კანდიდატი.

პ.2 - დარბაზი. 11.30 საათი. სამანდატო კომისიის თავმჯდომარე აცხადებს რეგისტრაციის შედეგებს. კრება უფლებამოსილია დაიწყოს მუშაობა. ამბობს, რომ შესვენებაზე გაიმართება ხელახალი რეგისტრაცია (ვინაიდან ტრადიციულად მონაწილეთა ნაწილი კრებას ტოვებს). ამით თავიდან დადგინდება მათი რაოდენობა და შესაბამისად კრების ლეგიტიმურობა (ქვორუმი).

პ.2 - შენიშვნა არ არის. კონსტატირებულია მხოლოდ ფაქტი.

პ.3 - კრების წამყვანი აგრძელებს სხდომას. სიტყვას აძლევს დავით აბულაძეს.

პ.3. - კონსტატირებულია ფაქტი - შენიშვნა არ არის.

პ.4 - აბულაძე შემოდის წინადადებით, დაემატოს წესდებას პუნქტი, რომლითაც გაუქმდება გამგეობის ქვორუმი. მიზეზი გამგეობის წევრთა უდისციპლინობა.

პ.4. - კონსტატირებულია ფაქტი. შენიშვნა არ არის.

პ.5 - წამყვანს ახსენდება, რომ რაღაც გამორჩა და კითხულობს, ვინმეს ხომ არ სურს აზრის გამოთქმა დღის წესრიგთან (რეგლამენტთან) დაკავშირებით.

პ.5 - კონსტატირებულია ფაქტი. შენიშვნა არ არის.

პ.6 - კანდიდატს მიკროფონს აწვდიან. შემოდის წინადადებით კენჭისყრაზე დააყენონ ხმის უფლება წართმეული წევრების რეაბილიტაციის საკითხი.

პ.6 - „.....“ გავარკვიოთ კავშირში ვინ არინ ხმის უფლება წართმეული.

პ.7 - აბულაძე აპროტესტებს. ითხოვს უკვე დეკლარირებულია კენჭისყრა. წესისამებრ.

პ.7 - გავარკვიოთ კავშირში - რას აპროტესტებს.

პ.8 - კენჭისყრა. უმრავლესობა ეთანხმება ქვორუმის გაუქმებას. შესაბამისად, კავშირის თავმჯდომარე გამგეობაზე სრულ კონტროლს დაამყარებს.

პ.8 - „.....“ - არ ვეთანხმებით დასკვნას „...კონტროლს დაამყარებს“ - გაუგებარია, როგორ?

პ.9 - კრება ისმენს სარევიზიო და ეთიკის კომისიების საანგარიშო მოხსენებებს.

პ.9 - კონსტატირებულია ფაქტი. შენიშვნა არ არის.

პ.10 - აბულაძის საანგარიშო მოხსენება წინასაარჩევნო პროგრამის დეკლარირებაში გადადის. მოგვიანებით წამყვანი ამის გამო მას მოხსენების შეწყვეტას თხოვს.

პ.10 – „.....“ მომხსენებლის შეცდომას კრების წამყვანი ასწორებს - ითხოვს მოხსენების შეწყვეტას. ვეთანხმებით, იყო ხარვეზი, რომელიც დროულად გასწორდა. თუმცა, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ორივე კანდიდატის საარჩევნო პროგრამებით გამოქვეყნებული იყო საიტზე, ხარვეზი უნდა შეფასდეს არამნიშვნელოვნად.

პ.11 – 14.30 – 15.30 საათი, შესვენება. მიმდინარეობს ადრე შეპირებული, ხელახლო რეგისტრაცია, მოგვიანებით ირკვევა, რომ კენჭისყრა თავმჯდომარის არჩევაზე თურმე დაწყებული და მიმდინარეობს გამოუცხადებლად, უდამკვირვებლად. ხმის მიცემის პროცესს კანდიდატი და მისი წარმომადგენლები ვერ ესწრებიან.

ხმის დამთვლელი კომისია (ასევე) წინასწარაა დაკომპლექტებული კავშირის აპარატის მიერ, ყოველგვარი პარიტეტის და შეთანხმების გარეშე.

პ.11 – „.....“ კონსტატირებულია ფაქტი - მიმდინარეობს ხელახალი რეგისტრაცია.

რაც შეეხება არჩევნების დაწყებას, ამის შესახებ კრების ოქმიდან ვიგებთ, რომ ვინაიდან „კანდიდატთა მოხსენებების თეზისები წინასწარ გამოქვეყნდა და მსურველებს შეეძლოთ მათი გაცნობა, ხმის მიცემა შესაძლებელია დამატების დასრულებამდე“ (კრების ოქმი, IV საკითხი).

აქ შეიძლება მივმართოთ ჩვენს მეხსიერებას და დავადასტუროთ, რომ კუთები მართლაც გაიხსნა დებატების დამთავრებამდე. ამის შესახებ გვაფრთხილებდნენ სააღმწივენო კომისიის წევრების შესვენების დროს, რომლებიც აკონტროლებდნენ საარჩევნო ყუთებს. ამას ადასტურებდა ყველა გამოკითხული, ვინც მიაქცია ყურადღება ფაქტს.

ეთიკის კომისია ამ დასანან ხარვეზს მიაწერს კრების წამყვანის შეცდომას, ალბათ მას საგანგებოდ უნდა გამოეცხადებინა მიღებული გადაწყვეტილება და არ უნდა მიენდო ეს საარჩევნო კომისიის წევრებისათვის მხოლოდ.

ხარვეზს მივაკუთვნებთ არაპრინციპულ გადაცდომას, რომელიც საბოლოო შედეგზე გავლენას ვერ მოახდენდა. ასეც მოხდა . რაც შეეხება საჩივარს, რომ ხმისდამთვლელი კომისია წინასწარ იყო დაკომპლექტებული, ვადასტურებთ“ ხმის დამთვლელი კომისია შეიქმნა საკ-ის გამგეობის მიერ, თანახმად რეგლამენტისა. (იხ. გამგეობის ოქმი N 26 17.XI.2017).

პ.12 - მონაწილეთა ნაწილი შესვენების პერიოდში ტოვებს კრებას, როგორც ივარაუდეს.

პ.12 – „.....“ კონსტატირებულია ფაქტი.

პ.13 – 15.30 განახლებული სხდომა. რეგისტრაციის შედეგები არ ცხადდება. აბულაძე აცნობს დამსწრეთ თავის პროგრამას.

პ. 13 – „.....“ კრების ოქმი (იხ. VI საკითხი) ამტკიცებს საწინააღმდეგოს: სამანდატო კომისიის თავმჯდომარე ნ. აბაშიძე კრებას აწვდის ხმის დათვლის შედეგებს და აზუსტებს ხმის მიცემის დეტალებს.

პ.14 - შემდეგ კანდიდატი გამოდის. ყუთი ისევ სცენაზე დევს. მასში ბიულეტენების მნიშვნელოვანი რაოდენობა ყრია.

პ.14 – „.....“ - არსებული სიტუაციის კონსტატაცია.

პ.15 - პროგრამის ძირითადი ნაწილის დეკლარირების შემდეგ კანდიდატი ისევ ითხოვს „რეპრესირებულთათვის“ ხმის უფლების დაბრუნებას. ლაპარაკობს კენჭისყრის პროცედურის უხეშ დარღვევაზე (კრების მონაწილეებმა ხომ ხმის მიცემა დაწყების ოფიციალურ განცხადებაზე, პრეტენდენტების პროგრამების მოსმენამდე დაიწყეს). ითხოვს პროცედურის თავიდან (წესისამებრ) დაწყებას ორგანიზატორებისათვის ნებისმიერ მისაღებ დროს. აბულაძე ყოველივეზე მწვავედ რეაგირებს. ამბობს, რომ კრების ჩაშლა, ან რაღაც ამგვარი ხდება.

პ. 16 - სამანდატო კომისიის თავმჯდომარე განმარტავს, რომ წესი არ ირღვევა. იმიტომ, რომ პროგრამები კავშირის ვებ-გვერდზე იყო განთავსებული და მათი მოსმენა აუცილებლობას არ წარმოადგენდა.

პ.15 და პ. 16 - აქ საკითხი კვლავ ეხება „რეპრესირებულთათვის“ ხმის უფლების დაბრუნებას. ამასთან დაკავშირებით კრებამ დავაზუსტოთ

რაც შეეხება ხმის მიცემის პროცედურის პრეტენდენტთა მოსმენამდე დაწყებას იხ. წინამდებარე კომენტარები, პ. 11.

პ.17 - კანდიდატი აცხადებს, რომ ვებ-გვერდზე, კრების დამტკიცებული რეგლამენტის შესაბამისად, პროგრამა თეზისური სახით იყო წარდგენილი (კავშირის მიზნების და ამოცანების მცირედ სახეცვლილი ვარიანტი).

პ.17 – „.....“ - ეთიკის კომისია ვერ ხედავს დარღვევას: მსურველს შეეძლო კანდიდატთა მოხსენებები მოესმინა ბოლომდე და შემდეგ მიეცა ხმა. ყუთები ღია იყო დაცვის ქვეშ.

პ.18 - ამის საპასუხოდ აბაშიძე აცხადებს - ხომ ვერ ავუკრძალავთ კრების მონაწილეებს ბიულეტენების ყუთს ჩაკრასო. აბა მაშინ რისთვის დადეს ყუთი სცენაზე!

პ.18 - პასუხი იხ. პ.17 კომენტარში.

პ.19 - ხმაური. კანდიდატი მოუწოდებს მომხრეებს, არ ჩააგდონ ბიულეტენები ყუთებში. აჩერებს თავის არჩევნებში მონაწილეობას (შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე). რამდენიმე მონაწილე გამოთქვამს თავის მოსაზრებას. ზოგს ამის საშუალებას არ აძლევენ. კანდიდატი ითხოვს სადავო საკითხების კენჭისყრაზე დაყენებას. უშედეგოდ.

პ.19 – „.....“ ხმაური მართლაც დიდ იყო. მიზეზის დადგენა შეუძლებელი იყო ისევ ხმაურის გამო. თავმჯდომარის მოწოდებებს საწყნარისკენ არავინ უსმენს. ამ ფონზე კეთდება რამოდენიმე განცხადება კრების მართვასთან დაკავშირებით. კრება განწყობილია დამთავრებისათვის.

პ.20 - მიკროფონით აცხადებენ, რომ დამკვირვებლები (კანდიდატის მხრიდან) თურმე ყუთთან უნდა მივიდნენ და გააკონტროლონ ხმის მიცემა. გაახსენდათ. დამსწრე საზოგადოებას მოუწოდებენ - ხმის მისაცემად მივიდნენ ყუთებთან (აღარ მიდიან). მოგვიანებით, ამჯერად უკვე ნერვიულად საზოგადოებას აფრთხილებენ, რომ ხუთ წუთში უნდა დაიხურება.

პ.21 - ისევ მიკროფონით: ამჯერად კანდიდატის ურნასთან მისვლას მოითხოვენ ლუქის მოხსნასთან დაკავშირებით. ეს უკვე ცინიზმს გავს, დალუქვის და დაკვირვების პროცედურაზე რატომღაც დაავიწყდათ ამის განცხადება. უარს იღებენ.

პ.22 - მოგვიანებით კანდიდატი კიდევ ერთხელ უხსნის კრების წამყვანს, სამანდატო კომისიის თავმჯდომარეს და კავშირის ადმინისტრაციას მის პოზიციას და ტოვებს დარბაზს.

პ.20 და პ.21 – „.....“ ეთიკის კომისიის წევრები ადასტურებენ 20 პუნქტების „ერონიკას“, არ ეთანხმებიან კომენტარს: ‘არ მოდიან, ვინაიდან ყუთებთან მისვლას ხელს უშლის არეულობა, რომელიც გამოწვეულია კანდიდატის მხარდამჭერთა ხმაურიან გამოსვლებით, რაც ობსტრუქციის ხასიათს ატარებდა.

პ.21 – „.....“ სჩანს სიტუაცია ბოლოსდაბოლოს დაწყნარდა და კენჭისყრა ჩატარდა.

პ.22 – „.....“ ფაქტის კონსტატაცია

პ. 23 - ბოლოს თავმჯდომარედ აბულაძე ცხადდება.

პ.23 – „.....“ ფაქტის კონსტატაცია.

საკ-ის პროფესიული საქმიანობის, საავტორო

უფლებების და ეთიკის კომისიის

რეზიუმე

არქ. პ. ძინძიბაძის, საკ-ის XXVII (საარჩევნო) კრების,

თავმჯდომარის კანდიდატის წინამდებარე განცხადებაზე

საკ-ის პროფესიული საქმიანობის, საავტორო უფლებების და ეთიკის დაცვის კომისიამ, თავის რიგგარეშე სხდომაზე (2018 წ.) განიხილა ზემოაღნიშნული განცხადება და ერთხმად მივიდა დასკვნამდე, რომ კრების მსვლელობისას დაფიქსირებული უმნიშვნელო შეცდომები და რეგლამენტის არა პუნქტუალური დაცვა უნდა მიეკუთვნოს საკ-ის თავმჯდომარის თანამდებობის მოსაპოვებლად გამძაფრებულ ბრძოლას, რაშიც მონაწილეობას ორივე კანდიდატი ფაქტობრივად თანაბრად იღებდა და აგრეთვე კრების თავმჯდომარის რამდენიმე ლიბერალურ მართვას, რაც დამაბულ სიტუაციის პირობებში არაადეკვატური აღმოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ საბოლოოდ კრებამ კანონიერების დაცვით ჩაიარა და იგი სამართლიანი შედეგით დამთავრდა.

ეთიკის კომისია რეკომენდაციას აძლევს კონფლიქტის ორივე მხარეს სათანადო დასკვნები გააკეთონ საარჩევნო კრების პერიპეტეების გათვალისწინებით სამომავლოდ. ამავდროულად კომისია გამოთქვამს კმაყოფილებას მასზედ, რომ მიუხედავად დამაბულ საარჩევნო ბრძოლისა, რაც ბუნებრივია ასეთი პროცედურებისათვის, კონფლიქტში არ დაფიქსირებულა არაეთიკური ხასიათის ქმედებები, რისთვისაც მაღლობას უხდის ორივე მხარეს.